# ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული

2–10 დეკემბერი, 2021

პროგრამა



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

# ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული

## 2-10 დეკემბერი, 2021

**2021 წლის ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის ღონისძიებების უმრავლესობა გაიმართება ONLINE რეჟიმში, ხოლო მცირე ნაწილი აუდიტორიებში. დეტალური ინფორმაცია კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ განთავსდება ღონისძიების ორგანიზატორი უნივერსიტეტის ვებ ან ფეისბუქ გვერდებზე.**

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 2 დეკემბერი<br>**12:00-13:30**<br>ONLINE | **კვირეულის გახსნის ღონისძიება**<br>საპანელო დისკუსია<br>**სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები პანდემიის დროს, დაწესებული შეზღუდვები და ვაქცინაცია**<br><br>**მომხსენებლები:**<br>***ბესიკ ლოლაძე*** — *საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს პროფესორი*<br>***ნანა მჭედლიძე*** – *ალტე უნივერსიტეტის (ყოფილი თბილისის ღია უნივერსიტეტის) ასოცირებული პროფესორი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სპეციალისტი*<br><br>**მოდერატორი:**<br>***კონსტანტინე კორკელია*** — *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი* |
| 3 დეკემბერი<br>**12:00-13:30**<br>ONLINE | **თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი**<br>საჯარო დისკუსია<br>**საკონსტიტუციო სასამართლო როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმი**<br>საჯარო დისკუსიის ფარგლებში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები განიხილავენ საკონსტიტუციო სამართლის კლინიკის ფარგლებში მომზადებულ სარჩელებს და უკვე წარმატებით დასრულებულ საქმეებს.<br><br>**მომხსენებლები:**<br>*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები:* ***გიორგი გუნთაიშვილი, ლიზა ყიფიანი, მარიამ ტაგანაშვილი, მარიამ ხუნჯგურუა, მზექალა რომანაძე, ეკატერინე სუბელიანი, თამარ კიკნაძე***<br><br>**მოდერატორი:**<br>***მარინე კაპანაძე*** — *თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი* |

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |
| 4 დეკემბერი<br>**10:00-11:30**<br>ONLINE | **ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**<br>საჯარო ლექცია<br>**ჯანმრთელობის უფლების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე: ოკუპანტი ძალის ვალდებულებები პანდემიასთან ბრძოლის კუთხით**<br>ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ოკუპანტი ძალის ვალდებულება უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ადეკვატური ჯანდაცვის სერვისები და ამით დაიცვას მათი ჯანმრთელობის უფლება; ასევე, შეუძლია თუ არა ოკუპანტ ძალას ოკუპირებულ ტერიტორიაზე დააწესოს გარკვეული შეზღუდვები ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე და რა სამართლებრივ ჩარჩოში უნდა მოექცეს ეს შეზღუდვები.<br><br>მომხსენებელი:<br>***საბა ფიფია*** *— ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, ფულბრაიტის მკვლევარი 2021 წელს* |
| 4 დეკემბერი<br>**11:30-13:30**<br>ONLINE | **ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**<br>იმიტირებული სასამართლო პროცესი (ზეპირი რაუნდები)<br>**აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი (ქართულენოვანი ტურნირი) ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე**<br>გახსნის ცერემონია და ნახევარფინალური თამაშები. იმიტირებული სასამართლო პროცესი იმართება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ აქტივიზმის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში. იმიტირებული სასამართლო პროცესი შედგება წერითი და ზეპირი რაუნდებისაგან და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში აკრედიტებული ყველა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტს. |
| 4 დეკემბერი<br>**13:00-15:00**<br>ONLINE | **ალტე უნივერსიტეტი**<br>(ყოფილი თბილისის ღია უნივერსიტეტი)<br>საჯარო დისკუსია<br>**სავალდებულო ვაქცინაცია — უფლების დაცვა თუ დარღვევა? ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა**<br>საჯარო დისკუსიის მიზანია, სავალდებულო ვაქცინაციის როგორც უფლების ფარგლების განმარტება, ვაქცინაციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებების და პირთა უფლებების შესახებ არსებული ევროპული სტანდარტის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.<br><br>მომხსენებელი:<br>***ნანა მჭედლიძე*** *— ალტე უნივერსიტეტის (ყოფილი თბილისის ღია უნივერსიტეტის) ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სპეციალისტი* |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 4 დეკემბერი<br>**15:00-17:00**<br>ONLINE | **საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)**<br>საჯარო ლექცია<br>**საპარლამენტო კონტროლი პანდემიის დროს — CASE STUDY: საქართველო**<br>საჯარო ლექცია შეეხება პანდემიის პირობებში საპარლამენტო კონტროლის ინსტრუმენტების გამოყენების პერსპექტივას. აგრეთვე, სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილებების აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი დელეგირების ცალკეულ საკითხებს. მიმოხილული იქნება შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა და სხვა ქვეყნების გამოცდილება.<br><br>მომხსენებელი:<br>***ანა ნაცვლიშვილი*** *— GIPA-ის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს პარლამენტის წევრი* |
| 5 დეკემბერი<br>**12:00-15:00**<br>ONLINE | **ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**<br>იმიტირებული სასამართლო პროცესი (ზეპირი რაუნდები)<br>**აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი (ქართულენოვანი ტურნირი) ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე**<br>ფინალური თამაშები. იმიტირებული სასამართლო პროცესი იმართება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ აქტივიზმის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში. იმიტირებული სასამართლო პროცესი შედგება წერითი და ზეპირი რაუნდებისაგან და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში აკრედიტებული ყველა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტს. |
| 6 დეკემბერი<br>**11:00-13:00**<br>ONLINE | **საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**<br>საჯარო ლექცია<br>**ენერგიის უფლება**<br>საჯარო ლექცია შეეხება ენერგიის უფლებას, რაც სიახლეა როგორც საერთაშორისოდ აღიარებული უფლება. თანამედროვე სამყაროში აქტიურად საუბრობენ ამ უფლების შესახებ.<br><br>მომხსენებელი:<br>***ირაკლი სამხარაძე*** *— საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი*<br><br>*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, აუდიტორია #1-01, თბილისი, წინანდლის ქუჩა #9* |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|

**6 დეკემბერი**
**13:00-15:00**
ONLINE

## ალტე უნივერსიტეტი
(ყოფილი თბილისის ღია უნივერსიტეტი)

**საჯარო ლექცია**

### ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება აგვისტოს ომის საქმეზე, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ჭრილში

საჯარო დისკუსია შეეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების ანალიზს და სასამართლოს არგუმენტებს, რისი თქმა სურდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თავის 2021 წლის იანვრის გადაწყვეტილებაში.

**მომხსენებლები:**

***ნათია კალანდარიშვილი-მიულერი*** *— ალტე უნივერსიტეტის (ყოფილი თბილისის ღია უნივერსიტეტი) პროფესორი, საერთაშორისო ექსპერტი ჰუმანიტარულ სამართალში*

***ნინო ნიკოლაიშვილი*** *— ალტე უნივერსიტეტის (ყოფილი თბილისის ღია უნივერსიტეტი) ასისტენ-პროფესორი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი*

---

**6 დეკემბერი**
**15:00-16:00**
ONLINE

## თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

**საჯარო დისკუსია**

### ადმინისტრაციული დაკავების სტანდარტები და მათი მიმართება შეკრებების და მანიფესტაციების კონსტიტუციურ უფლებასთან; კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები

დისკუსიის ფარგლებში მიმოხილული იქნება საქართველოში ადმინისტრაციული დაკავებების მომწესრიგებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა, რაც ხშირად გამხდარა კრიტიკის საგანი. ბოლო პერიოდში, აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ გააქტიურდა პოლიტიკური ხასიათის სხვადასხვა მანიფესტაციაში მონაწილე პირების სისტემატური დაკავებების შემდეგ, რომელთა საფუძვლიანობასთან დაკავშირებით არაერთი კითხვის ნიშანი არსებობს.

**მომხსენებლები:**

***ნონა ქურდოვანიძე*** *— საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამართლებრივი დახმარების პროგრამის ხელმძღვანელი*

***გიორგი ტაბატაძე*** *— საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტი*

**მოდერატორი:**

***გიორგი ბერაია*** *— თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*

| დრო | ღონისძიება |
|---|---|

**6 დეკემბერი**
**16:00-17:00**
ONLINE

## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ქუთაისი)

**საჯარო ლექცია**

### პანდემიის გავლენა საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე

ლექციის ფარგლებში განხილული იქნება კოვიდპანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისის გავლენა ტრანსნაციონალურ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც გასაზღვრავენ ადამიანის უფლებების დაცვის, პირთა გადაადგილების, უცხოური გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების და საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად ასპექტებს. მიმოიხილება სახელმწიფოთა მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები სახელშეკრულებო რისკების გადანაწილებისა და საქონლის, სერვისის ტრნასნაციონალური მოძრაობის შეფერხებების აღმოსაფხვრელად.

**მომხსენებელი:**
***თამარ მსხვილიძე*** *— აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, სამართლის დოქტორი*

---

**6 დეკემბერი**
**16:00-18:00**

## საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

**ფილმის ჩვენება და დისკუსია**

### ფილმის ჩვენება გენდერული თანასწორობის შესახებ და დისკუსია

ნაჩვენები იქნება ფილმი გენდერული თანასწორობა, ჩვენების შემდეგ გაიმართება დისკუსია

**მომხსენებელი:**
***ანა ფირცხალაშვილი*** *— საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს პროფესორი*

*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, აუდიტორია #1-01, თბილისი, წინანდლის ქუჩა #9*

---

**6 დეკემბერი**
**17:00-18:00**
ONLINE

## სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

**პოდკასტი**

### შეზღუდული შესაძლებლობა და დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით

პოდკასტის სტუმრები ისაუბრებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით აღიარებულ დისკრიმინაციის ფორმებზე, საქართველოში არსებულ გამოწვევებზე აღნიშნული კუთხით, ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლზე შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებთან მიმართებაში.

**მომხსენებლები:**
***ქეთევან ხომერიკი*** *— სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*

***ცისია ოქროპირიძე*** *— სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასისტენტი, ლექტორი, ანტიდისკრიმინაციული სამართლის ცენტრის ხელმძღვანელი*

| დრო | ღონისძიება |
|---|---|

6 დეკემბერი
**18:00-20:00**
ONLINE

## კავკასიის უნივერსიტეტი

**საჯარო ლექცია**

### შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის როლი მსხვერპლი/დაზარალებული პირის მხარდაჭერის პროცესში. სექსუალური ძალადობა

საჯარო ლექციის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლები ისაუბრებენ შემდეგ საკითხებზე: მოწმესთან/დაზარალებულთან პირველადი გასაუბრების ჩატარების/შეფასების მეთოდოლოგია, ძალადობა და არაძალადობრივი კომუნიკაცია, შშმ პირებთან, არასრულწლოვნებთან, ეთნიკურ და კულტურულ უმცირესობებთან, ლგბტქ+ წარმომადგენლებთან ურთიერთობის მეთოდოლოგია და სპეციფიკა, სექსუალური ძალადობის გავრცელების მასშტაბი, მართლმსაჯულების გამოწვევები სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებასთან დაკავშირებით.

**მომხსენებლები:**

***ქეთინო აბულაშვილი*** — *შსს-ს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი*

***იზი კასრელიშვილი*** — *შსს-ს გამოძიების ხარისხის ანალიზისა და შეფასების სამმართველოს თანამშრომელი*

---

7 დეკემბერი
**12:00-13:30**
ONLINE

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საჯარო ლექცია**

### მდგრადი განვითარება ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებების ჭრილში

საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებების აქტუალური საკითხები საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ჭრილში.

**მომხსენებელი:**

***მაია ბითაძე*** — *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი*

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |

**7 დეკემბერი**
**13:30-14:00**
ONLINE

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიათა კრებულის პრეზენტაცია

### ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა

მომხსენებლები:

***კონსტანტინე კორკელია*** *— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი*

***თამარ ზარანდია*** *— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი*

***ირინე ქურდაძე*** *— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი*

**7 დეკემბერი**
**15:00-16:30**
ONLINE

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო დისკუსია

### თანასწორობის უფლება — არსებული პრაქტიკა და გამოწვევები

დისკუსიის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება მოხსენებები თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე, რის შემდგომაც გაიმართება დისკუსია.

მომხსენებლები:

***ნიკოლოზ მეგრელიშვილი*** *— ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*

***მარიამ მაისურაძე*** *— ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*

**7 დეკემბერი**
**17:00-18:00**
ONLINE

## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ქუთაისი)

საჯარო ლექცია

### პანდემიის დროს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის პრობლემა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში

ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი პერსონალური მონაცემების დამუშავების წესები, ასევე, პანდემიის დროს სახელმძღვანელო პრინციპები და შესაბამისი პრაქტიკა. ყურადღება გამახვილდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების თავისებურებებზე, საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის საჭიროებასა და სახელმძღვანელო პრინციპებზე.

მომხსენებელი:

***თამარ ქარბაძე*** *— აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |
| 7 დეკემბერი<br>17:00-18:30 | **საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**<br>**ფილმის ჩვენება და დისკუსია**<br>**ფილმის ჩვენება სქესობრივი დანაშაულების შესახებ და დისკუსია**<br>ნაჩვენები იქნება ფილმი და გაიმართება დისკუსია თემაზე სქესობრივი დანაშაულები — გამოწვევები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში<br>**მომხსენებელი:**<br>***გოგა ხატიაშვილი*** *— საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს მოწვეული ლექტორი*<br>*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, აუდიტორია #1-01*<br>*თბილისი, ნინაწდლის ქუჩა #9* |
| 7 დეკემბერი<br>19:00-20:30<br>ONLINE | **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>**ფილმის ჩვენება და დისკუსია**<br>**ფილმის "ნასრინი" ჩვენება და დისტანციური დისკუსია**<br>დოკუმენტური ფილმი ირანელი უფლებადამცველის ნასრინ სოტოდეჰის პირად პორტრეტს ფარულად გადაღებული კადრებით აღწერს. ის ფაქტი, რომ სოტოდეჰი ამჟამად ციხეშია ადამიანის უფლებების დაცვისთვის, ამ დოკუმენტურ ფილმს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის. ნასრინ სოტოდეჰი არის ქალი, რომლის ბრძოლა ადამიანის უფლებებისთვის შთამბეჭდავია. 2021 წელს, ჟურნალ თაიმსის მიხედვით, ის 100 ყველაზე გავლენიან ადამიანთა სიაში დასახელდა.<br>**მომხსენებელი:**<br>***თამთა მიქელაძე*** *— ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალური სამართლიანობის ცენტრის თანასწორობის პოლიტიკის პროგრამის დირექტორი*<br>**მოდერატორი:**<br>***ელენე დავითაშვილი*** *— ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტი* |
| 8 დეკემბერი<br>11:00-16:30<br>ONLINE | **სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი**<br>**კონფერენცია**<br>**სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მე-3 სტუდენტური კონფერენცია ადამიანის უფლებებში**<br>კონფერენციის მიზანია ადამიანის უფლებებთან მიმართებით პრობლემური და აქტუალური საკითხების განხილვა და მისი გადაჭრის გზების დასახვა. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს. |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|

**8 დეკემბერი**
**16:00-17:00**
ONLINE

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საპანელო დისკუსია

### შრომის პირობების დაცვა და პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები

საპანელო დისკუსიის ფარგლებში განხილული იქნება შრომის პირობების დაცვის კუთხით არსებული სიტუაცია და გამოწვევები, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების ამოქმედების შედეგად შექმნილი მდგომარეობა, პრაქტიკაში არსებული პრობლემები, შესაძლებლობები და სამუშაო სტრატეგია.

**მომხსენებლები:**

***ბექა ფერაძე*** *— მთავარი შრომის ინსპექტორი*

***რაისა ლიპარტელიანი*** *— საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე*

**მოდერატორი:**

***გოგა კიკილაშვილი*** *— შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის ხელმძღვანელი, კოლექტიური შრომითი დავების მედიატორი*

---

**8 დეკემბერი**
**18:00-20:00**
ONLINE

## კავკასიის უნივერსიტეტი

საჯარო ლექცია

### საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო და ადამიანის უფლებები

აუდიტორიის აქტიური ჩართულობით განხილული იქნება ადამიანის უფლებები, როგორც რომის სტატუტის ღირებულებითი საფუძველი და მისთვის დამახასიათებელი ნორმატიული ენა, მათ შორის კომპლემენტარულობის პრინციპის, სტატუტის 21-ე მუხლისა და სხვა საერთაშორისო სასამართლოებთან იურიდიული დიალოგის კონტექსტში.

**მომხსენებელი:**

***გოჩა ლორთქიფანიძე*** *— საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლე*

---

**8 დეკემბერი**
**19:30-21:00**

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საპარლამენტო დებატები (ბრიტანული სტილი)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდება საპარლამენტო დებატები თემაზე „ამ პალატას სჯერა სახალხო დამცველის“

**მომხსენებლები:**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები:*
***ლაშა ბერიძე, მარიამ მიქელაძე, თემურ ირემაძე, ამირან აბაშიძე, დავით ბალაძე, მონიკა მოლაშხია, ნიკოლოზ ანთაძე, არჩილ ბერიძე***

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აუდიტორია #55*
*ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა #32/35*

| დრო | ღონისძიება |
|---|---|

**9 დეკემბერი**
**11:00-13:00**
ONLINE

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საჯარო ლექცია**

### COVID-19-ის გავლენა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა უფლებრივ მდგომარეობაზე

საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება თუ რა გავლენა იქონია COVID-19 პანდემიამ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობაზე.

**მომხსენებელი:**
***ქეთევან ხუციშვილი*** *— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი, გენდერისა და სამართლის კვლევითი და სასწავლო მიმართულების ხელმძღვანელი*

---

**9 დეკემბერი**
**12:00-14:00**
ONLINE

## საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

**საჯარო ლექცია**

### პანდემია და ადამიანის უფლებები

ლექციაზე განხილული იქნება პანდემის დროს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი.

**მომხსენებელი:**
***თამარ ავალიანი*** *— საქართველოს ეროვნული უნივერიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი*

*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, აუდიტორია #1-01*
*თბილისი, წინანდლის ქუჩა #9*

---

**9 დეკემბერი**
**13:00-14:00**
ONLINE

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**საჯარო ლექცია**

### სოციალური მედია და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება სოციალურ მედიასთან მიმართებით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით არსებული სამართლებრივი მდგომარეობა, პრაქტიკული გამოწვევები, ლოკალური და საერთაშორისო გამოცდილება.

**მომხსენებელი:**
***ნათია კაპანაძე*** *— იურისტი, მედიაექსპერტი, კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის კოორდინატორი*

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 9 დეკემბერი<br>**14:00-15:30**<br>ONLINE | **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>საჯარო დისკუსია<br>**პანდემიის გავლენა ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე**<br>ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება მოხსენებები თუ რა გავლენა ჰქონდა პანდემიას ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე, რის შემდეგაც გაიმართება დისკუსია.<br><br>**მომხსენებლები:**<br>*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები:* ***თათია ჩავლეიშვილი, ქეთევან ღლონტი, თორნიკე ჩხაიძე, გიორგი ბეჟანიძე, ხატია ლეონიძე, გვანცა ვარშანიძე, ანრი თედორაძე, ანრი ვერულიძე, სოფიო ჭაღალიძე, თამარ ვაშაკიძე, არჩილ კაკალაძე, ნუკრი თურმანიძე, ნინო გოგიტიძე, მილედი ჯინჭარაძე*** |
| 9 დეკემბერი<br>**15:00-16:30** | **საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**<br>ფილმის ჩვენება და დისკუსია<br>**მრავალფეროვნების სახეები — სოფო, მრავალფეროვნების სახეები — ჰურიე**<br>ნაჩვენები იქნება ფილმები, რის შემდეგ გაიართება დისკუსია.<br><br>**მომხსენებელი:**<br>***თამარ ავალიანი*** *— საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი*<br><br>*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, აუდიტორია #1-01 თბილისი, წინანდლის ქუჩა #9* |
| 9 დეკემბერი<br>**15:30-17:30**<br>ONLINE | **გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი**<br>კონფერენცია<br>**ადამიანის უფლებების დაცვა მულტირელიგიურ საქართველოში**<br>ჩატარდება სტუდენტური კონფერენცია თემაზე: ადამიანის უფლებების დაცვა მულტირელიგიურ საქართველოში, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები წარმოადგენენ ნაშრომებს.<br><br>**მომხსენებლები:**<br>***მერი ლომია*** *— გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*<br>***გულნაზ გალდავა*** *— გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი*<br>***გიორგი მირიანაშვილი*** *— გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი* |

| ᲓᲠᲝ | ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ |
|---|---|
| 9 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ<br>**16:00-17:00**<br>ONLINE | **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ**<br>**საჯარო ლექცია**<br>**ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ**<br>საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ადამიანის უფლებების დაცვის აქტუალური საკითხები საერთაშორისო და ეროვნული საზღვაო სამართლის ჭრილში.<br><br>**მომხსენებელი:**<br>***ეკა სირაძე*** *— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი* |
| 9 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ<br>**17:00-19:00**<br>ONLINE | **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ**<br>**სტუდენტური კონფერენცია**<br>**ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ**<br>კონფერენციის ფარგლებში მოხდება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ მომზადებული და კონკურსის გზით შერჩეული, არაუმეტეს 10 საუკეთესო ნაშრომის პრეზენტაცია, რომელიც შეეხება საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმების მნიშვნელობას ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში |
| 10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ<br>**10:00-12:00** | **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲡᲔᲣ**<br>**კიმიტირებული სასამართლო პროცესი**<br>**ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲓᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲐ, ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ**<br>იმიტირებული პროცესი წარმოაჩენს ბიზნეს დავის განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემატიკას.<br><br>*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, იმიტირებული სასამართლო დარბაზი*<br>*თბილისი, წინანდლის ქუჩა #9* |

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |

**10 დეკემბერი**
**11:00-11:30**

## გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

**ესეების კონკურსი**

### ადამიანის უფლებების დაცვა მულტირელიგიურ საქართველოში

გამოცხადდება ესეების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეები. კომისია 10 დეკემბერს მიიღებს და გამოაცხადებს გადაწყვეტილებას გამარჯვებული ნამუშევრის თაობაზე. ავტორს საჩუქრად გადაეცემა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სასწავლო გრანტი. გამარჯვებული ნამუშევრის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე **www.gruni.edu.ge.**

---

**10 დეკემბერი**
**17:00-18:00**
ONLINE

## გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**საჯარო დებატები**

### საუბრები ადამიანის უფლებებზე

დებატების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება მოკლე მოხსენებები ადამიანის უფლებების აქტუალურ საკითხებზე, რის შემდეგაც გაიმართება დისკუსია.

**მომხსენებლები:**

***დავით კვერნაძე*** *— გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტი*

***ლაშა ხომასურიძე*** *— გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი*

***ლელა გოგიაშვილი*** *— გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი*

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები:*
***ეთერ გოგიაშვილი, ნათია ჯანეზაშვილი, მარიამ კაპანაძე***

---

**10 დეკემბერი**
**18:00-20:00**
ONLINE

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ადამიანის უფლებათა გაკვეთილი**

### ჩვენი უსაფრთხოება ინტერნეტ სივრცეში

ადამიანის უფლებათა გაკვეთილი, რომელიც ყოველწლიურად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს ტარდება, სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ღონისძიებაა. გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეებმა სტუდენტებთან ერთად ისაუბრონ ინტერნეტ სივრცეში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, მათი დაცვის მნიშვნელობაზე, აუცილებლობასა და მექანიზმებზე, დასვან მათთვის საინტერესო შეკითხვები და ჩაერთონ დისკუსიაში.

**მომხსენებლები:**

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები:*
***ელენე დავითაშვილი, ელენე ჯანელიძე, ხატია ცეცხლაძე, ვიკა დარსალია, მანუჩარ ცეცხლაძე, მარიამ გვასალია***

**მოდერატორი:**

***მარი დევიძე*** *— ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა მიმართულების მკვლევარი, სამართლის სკოლის სტუდენტი*

ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული ყოველწლიურად დეკემბრის თვეში იმართება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზებით. მისი მიზანი სტუდენტებსა და ახალგაზრდებში ადამიანის უფლებების პრობლემური საკითხების შესახებ ცოდნის გავრცელება და უნივერსიტეტების თანამშრომლობის გზით ადამიანის უფლებების სამართლის შესახებ იდეათა და მოსაზრებათა აქტიური ურთიერთგაცვლაა.

მონაწილე უნივერსიტეტებს სჯერათ, რომ ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ადამიანის უფლებათა პრობლემური საკითხების შესახებ ფართო საზოგადოებრივი დისკუსია და ქართულ საზოგადოებაში ადამიანის ღირსების, თავისუფლების და კანონის წინაშე თანასწორობის განმტკიცება.

2021 წლის 2-10 დეკემბრის კვირაში, საქართველოს 14 უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორებისა და სტუდენტების მონაწილეობით, ადამიანის უფლებათა სამართლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება. ღონისძიებების თემები უნივერსიტეტების მიერ შეირჩა ქართული საზოგადოებისთვის მათი აქტუალობის საფუძველზე.

ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის მხარდამჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI/PROLoG)